

ხელშეკრულება მომსახურების სახელმწიფო
შესყიდვების შესახებ №389

„ 11“ დეკემბერი 2013 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერი, ერთის მხრივ ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგებლის მ/შემსრულებელი ბექა ბაიდაურის სახით, შემდგომში წოდებული "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ ავიაკომპანია შპს „თუშეთი“.

ხელმძღვანელის ზაურ ქორთოშიძის სახით, შემდგომში წოდებული "მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია საჰაერო ტრანსპორტის-შვეულმფრენის მომსახურება (კოდი-60400000, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მ/შ 2013 წლის 11 დეკემბრის №1527 ბრძანება.) ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება გამარტივებული მეთოდით.

2. ხელშეკრულების ობიექტი

"მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს "შემსყიდველს" დაკვეთილი მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. მომსახურების მიწოდების თარიღად ითვლება 11.12.2013-15.12.2013წ

3.2. მომსახურების მიწოდების ადგილი მთაშუთეთი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ

4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და სწ საბოლოო შემოქმედების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი"

4.3. "შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს "მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1. "შემსყიდველი" ვალდებულია: გადა-უხადოს "მიმწოდებელს" შეთანხმებული ფასი; მიიღოს გაწეული მომსახურება
- 5.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს: გაუუქმოს "მიმწოდებელს" გაწეული მომსახურება თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს.
- 5.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია: გადასცეს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში; დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
- 5.4. "მიმწოდებელს" უფლება აქვს: მოსთხოვოს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 5000 (ხუთი ათასი) ლარს.
/ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით/

7. ფ ა ს ე ბ ი

ამ მუხლში აისახება ის შემთხვევები, როდესაც დასაშვები იქნება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების გადასინჯვა (მაგ. ინფლაციის მსდელი დონე, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება, საგადასახადო რეჟიმის შეცვლა და სხვა), გარდა ამისა, უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ფასის ცვლილებების მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი და ყოველ კონკრეტულ გარემოებასთან მიმართებაში - ცვლილებების გაანგარიშების წესი.

8. ანგარიშსწორების პირობები

- 8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: გადარიცხვა
- 8.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): ^{/გადარიცხვა, ინკასო ან სხვა/} მომსახურების შემდეგ / მაგ. მომსახურების შემდეგ / წინასწარი ანგარიშსწორება გარკვეული პროცენტით (ამ შემთხვევაში "მიმწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს საავანსო თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტია), ანგარიშსწორება განვადებით, შემსყიდველის ფაქტიური დაფინანსების მიხედვით ან სხვა დასაშვებია ანგარიშსწორების გრაფიკის განსაზღვრა სხვადასხვა ვარიანტების კომბინირებით.
- 8.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: მიღება-ჩაბარების აქტი.
^{/ანგარიშ-ფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი და ა.შ./}

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისთვის "მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, "შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულიად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და სხვა საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

10.4. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ყოველდღიურ კონტროლს ადგილზე "შემსყიდველის" მხრიდან ანხორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს: ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე

12.2. თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2014 წლის „15 იანვრამდე /მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, თუ შეუძლებელია მითითებული იქნეს კონკრეტული ვადა

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.

14.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ახმეტის მუნიციპალიტეტის
გამგეობა, ჩოლოყაშვილის ქ. №49
ს/ნ -224631165
ს/ს“ლიბერთი ბანკის
ახმეტის ფილიალი
ბ/კ-LBERTGE22
ა/ა-GE67LB012011346231000

„შემსყიდველი“



„მიმწოდებელი“

შპს „ავიაკომპანია თუშეთი“

ს/კ-208193925
ს.ს. „ბ ა ზ ი ს ბ ა ნ კ ი“
ბ/კ-CBASGE22
ა/ა-GE80BS000000000236373

/ზექა ბაიდაური/

„მიმწოდებელი“



/ზაურ ქორთოშიძე/